ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№4(108)

აპრილი
2023 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

საქართველოს მთავრობამ ევროკომისიისთვის განკუთვნილი ანგარიში განიხილა

8

ანგარიში მოიცავს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ევროკავშირთან ინტეგრაციის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს

2

გაერის ბავშვთა ფონდმა ახალგორის კულტურის სახლს ქართული ტრადიციული საკრავები გადასცა

ამონარიდები

5

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის

საალდგომო ეპისტოლედან

1989 წლის 9 აპრილი – მადლობა თავისუფლებისთვის!

4

14 აპრილი – დედაენის დღე

`აი ია“

7

უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ასო-ბგერები

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების მკურნალობა სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსდება

3

გულწრფელად ვიტყვი...

გულწრფელად ვიტყვი: ლტოლვილობა ისე არ მაწუხებს, როგორც იმაზე ფიქრი, რომ ჩვენს მიცვალებულებს მამა-პაპისეულ საგვარეულო სასაფლაოებზე ვერ ვკრძალავთ...

ლექსი მათ ხსოვნას ეძღვნება.

წილხვედრად მერგო დევნილის ხვედრი,
რა უჭირს, ღამით სიზმარი „მიცავს”,
აქ მოძმე საფლავს არ დამაყვედრის,
ჩამაყოლებენ მშობლიურ მიწას...
მაგრამ რა ვუყო იმ ზვრებს, იმ ტინებს,
ჩვენი ლოდინით სულს რომ ღაფავენ...
მოვა წვიმა და გამოიტირებს
სხვაგან დარჩენილ ძვირფას საფლავებს!..

დათო ახლოური

ჩრდილოეთ მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ეუთო-ს თავმჯდომარე ბუიარ ოსმანი წეროვანს სტუმრობდა

ჩრდილოეთ მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ეუთო-ს თავმჯდომარე ბუიარ ოსმანი წეროვანს ეწვია.

შეხვედრა წეროვანის №3 საჯარო სკოლაში გაიმართა, სადაც სამუშაო ვიზიტით მყოფ სტუმრებს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გელა შერმადინმა, სკოლის დირექტორ ირმა ტატიშვილთან ერთად უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში, ბუიარ ოსმანი სკოლაში არსებულ ვითარებას გაეცნო და მოსწავლეები მოინახულა.

ამასთან, მან გელა შერმადინისგან დასახლების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიიღო.

"ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა პრაგმატულ ძალისხმევას, რასაც რეალური შედეგები მოაქვს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კონფლიქტის დროს დაზარალდნენ, ეს მნიშვნელოვანია ხალხისთვის და სიტუაციის გაუმჯობესებისათვის", - განაცხადა ბუიარ ისმანმა.

გაეროს ბავშვთა ფონდმა ახალგორის კულტურის სახლს ქართული ტრადიციული საკრავები გადასცა

გაეროს ბავშვთა ფონდმა ახალგორის გამგეობას კულტურის სახლის მუსიკალური წრეებით მოსარგებლე ბავშვებისთვის ქართული ტრადიციული საკრავები გადასცა.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ღასან ხალილი და საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, ელისო ბოლქვაძე ახალგორის კულტურის სახლს ესტუმრნენ, სადაც შეხვდნენ წეროვანის დევნილთა დასახლების და მიმდებარე სოფლებში მაცხოვრებელ ბავშვებს, მათ მშობლებს და ახალგორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე ისაუბრეს სახელოვნებო განათლების მნიშვნელობაზე, სამომავლო გეგმებზე და ბავშვებთან ერთად განიხილეს მათი სურვილები და მოსაზრებები სახელოვნებო განათლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

სამუშაო შეხვედრა სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძემ, ახალგორის მუნიციპალიტეტში საკრებულოს თავმჯდომარესთან თამაზ ბალაშვილთან და გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან გელა შერმადინთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა.

საუბრის მთავარი თემა სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებს ეხებოდა. ასევე, განიხილეს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული დასაქმების მასშტაბური პროგრამა. თემასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მასშტაბით, იმ სოციალურად დაუცველ პირთა რიცხვი, რომლებიც საზოგადოებრივ სამუშაოებზე საქმდებიან, კვლავ ზრდადია. მათ შორის არიან შშმ პირები.

შეხვედრას, აგრეთვე, ესწრებოდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გელა შერმადინი, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი, ზრუნვის სააგენტოს რეგიონალური ცენტრისა და რეგიონალური სოციალური სამსახურის ხელმძღვანელები - ლალი უნდილაშვილი და მაკა ხამხაძე. მათ დამსწრე საზოგადოებას არსებული სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამა-ქვეპროგრამებისა და ამ კუთხით, 2023 წელს არსებული სიახლეების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრის დასასრულს, გოჩა ქავთარაძემ, საკითხის ირგვლივ, ადგილობრივი ხელისუფლების, განსაკუთრებით კი გამგეობის წარმომადგენლებისა და საკრებულოს დეპუტატების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„აუცილებელია თითოეული თქვენგანის აქტიურობა, კოორდინირებული და ინტენსიური მუშაობა, რათა მოსახლეობას სწორი ინფორმაცია მიეწოდოს ყველა იმ პროგრამის შესახებ, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობა უფასოდ შეუძლიათ.“ - განმარტა სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების მკურნალობა სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 300-მდე ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვს სახელმწიფო საზღვარგარეთ მკურნალობას დაუფინანსებს. ამის შესახებ პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 24 აპრილს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. კერძოდ, მან თქვა:

„...მოგეხსენებათ, საქართველოში დაახლოებით 300-მდე ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვი გვყავს, ჩვენი მოქალაქე, რომელთაც, რა თქმა უნდა, სახელმწიფო აფინანსებს, მათ მკურნალობას. წელიწადში მათთვის გამოყოფილია 10 მლნ ლარი დაახლოებით, მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, დღეს არ არის ყველა ის პირობა შექმნილი, რომ სრულყოფილი და, რაც მთავარია, ხარისხიანი და მაღალი სტანდარტის სერვისები მივაწოდოთ. ხშირ შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება ამ ბავშვების მკურნალობა საზღვარგარეთ. ისეთი სერვისები, როგორიცაა, თუნდაც პროტონული თერაპია, დასხივება და ა.შ., რაც მრავალი ათასი ამერიკული დოლარი ჯდება, ზოგ შემთხვევაში შეიძლება 100 000 ევრო დაჯდეს ერთი კურსი. რა თქმა უნდა, ამის საშუალება ჩვენს მოქალაქეებს არა აქვთ, ყველას არა აქვს ამის საშუალება, და სახელმწიფოსაც, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს გარკვეული შეზღუდვები ამ მიმართულებით. რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება ასეთი მომსახურება. ამიტომ ეს საკითხი იყო გადაუწყვეტელი და მოუწესრიგებელი. ამიტომ ჩვენი გადაწყვეტილებით, 300 ონკოლოგიური პაციენტი, ბავშვი, სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ჩვენ შერჩეული გვაქვს, უკვე გამოკვეთილია რამდენიმე საუკეთესო კლინიკა მთელ მსოფლიოში, სადაც მოხდება ამ ბავშვების მკურნალობა. აქვე მინდა ვთქვა, რომ ბიუჯეტი დაახლოებით 30 მლნ ლარამდე იქნება გამოყოფილი და ჩვენ სრულად დავფარავთ ყველა ხარჯს, იქნება ეს მკურნალობის, ცხოვრების თუ ა.შ. მგზავრობის ხარჯებს. ასე რომ ყველა ბავშვი, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვი, დაფინანსება სახელმწიფოს მიერ, ესაა დაახლოებით 300 ბავშვი წელიწადში.

აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ წლების წინ ჩემი ინიციატივით დავაფუძნეთ სოლიდარობის ფონდი, 25 მლნ ლარის ფარგლებში დავაფინანსეთ 1000-მდე ბენეფიციარი ბავშვის მკურნალობა, ონკოლოგიური პაციენტები და ახლა უკვე, ამ პროგრამის შემდეგ არც ერთ ბავშვს არ ექნება დაფინანსების პრობლემა. არც ერთ ოჯახს არ შეექმნება პრობლემა, ყველას ვუმკურნალებთ საუკეთესო კლინიკებში, რომლებიც აღიარებულია მსოფლიოში,” — განაცხადა პრემიერმა.

ბავშვებში დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა იზრდება

დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვებს, საჭირო სერვისებს სახელმწიფო უფინანსებს, რისთვისაც 30 მილიონი ლარია გამოყოფილი.

პროგრამის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ეტაპობრივად იზრდება.

დასასრული მე-8 გვერდზე

1989 წლის 9 აპრილი – მადლობა თავისუფლებისთვის!

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 34 წელი შესრულდა.

9 აპრილს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გელა შრმადინმა, საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა და ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელებმა, მცხეთა-მთიანეთის მხარის რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძესთან და ახალგაზრდებთან ერთად, წეროვნის დასახლებაში არსებულ სკვერში 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებს.

ანტისაბჭოთა მოძრაობა საქართველოს სსრ-ში 1988 წლისთვის გააქტიურდა. თბილისში გაფიცვებსა და მიტინგებს აწყობდნენ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები. კონფლიქტი საბჭოთა მთავრობასა და ქართველ ნაციონალისტებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა 1989 წლის 18 მარტს ე. წ. „ლიხნის ასამბლეის“ ჩატარების შემდეგ, სადაც რამდენიმე ათასმა აფხაზმა საქართველოსგან გამოყოფა და 1921-1931 წლების კავშირის რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვა. ამის საპასუხოდ ანტისაბჭოთა ჯგუფებმა რესპუბლიკის მასშტაბით არასანქციონირებული მიტიგნების სერია მოაწყვეს. მათი მტკიცებით საბჭოთა მთავრობა აფხაზურ სეპარატიზმს იყენებდა დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ.

საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია 1989 წლის 4 აპრილს, როდესაც ათობით ათასი ქართველი შეიკრიბა მთავრობის სახლის წინ რუსთაველის გამზირზე, თბილისში. მომიტინგეებმა, რომლებთაც ხელმძღვანელობდა დამოუკიდებლობის კომიტეტი, მოაწყვეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და შიმშილობა დაიწყეს, აფხაზი სეპარატისტების დასჯისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე დედაქალაქში და ვეღარ აცხრობდა საპროტესტო აქციებს.

1989 წლის 9 აპრილს, რუსთაველის გამზირზე ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა. მშვიდობიანი აქცია, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილებმა დაარბიეს – დილის 4 საათზე, კრემლის მითითებით საბჭოთა არმიის მძიმე ტექნიკა, შემდეგ კი შინაგანი ჯარის სპეცრაზმელები დაესხნენ თავს.

საბჭოთა ჯარისკაცებმა მშვიდობიან მომიტინგეებს გზა მძიმე ტექნიკით, ტანკებით ჩაუხერგეს, შემდეგ კი დემონსტრანტებს ნიჩბებით და მხუთავი აირით გაუსწორდნენ. აქციის დარბევის შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. აქედან 17 ქალი, ხოლო 4 მამაკაცი იყო. გარდაცვლილებს შორის იყო არასრულწლოვანებიც. 4 ათასზე მეტი დემონსტრანტი სხვადასხვა სახის ტრავმით საავადმყოფოში მოათავსეს. დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა 2000-ამდე მოქალაქე.

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე, 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა ტრაგედიის და ამავდროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.

9 აპრილს საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღესაც აღნიშნავს, რამდენადაც 1991 წელს, ამ დღეს, უზენაესმა საბჭომ ამავე წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. რეფერენდუმზე მოქალაქეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საბჭოთა კავშირიდან გამოყოფასა და დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირა მხარი.

9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტს დაეფუძნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს, 5 კვირიანი ომის შემდეგ დაიპყრო.

საღდგომო ნობათი

16 აპრილს მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა სამყარომ უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იზეიმა.

საზეიმო წირვა სამების საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიო მუჯირთან, მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.

საზეიმო წირვის დაწყებამდე, სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილმა მრევლმა საქართველოს პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე მოისმინა.

დღესასწაულის წინა დღეებში ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მცხეთის მერიის ხელშეწყობით, დევნილთა სამივე დასახლებაში - წეროვანში, წილკანსა და ფრეზეთში მცხოვრებ უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სასურსათო პაკეტები გადასცა.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გელა

შერმადინმა, მცხეთის საკრებულოს დეპუტატმა ჯონი ბაშარულმა და ადგილობრივი ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებმა ოჯახებს პირადად გადასცეს კუთვნილი ნობათი და მიულოცეს აღდგომის დღესასწაული.

ახალგორის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის მცხეთის მერიას ყურადღებისთვის და გვერდში დგომისთვის.

ამონარიდები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის

სააღდგომო ეპისტოლედან

„...უფალი მოვიდა, რომ წინაძღვრად ექცეს ჩვენს აზრს, გრძნობას, მოქმედებას, სულისა და გულის წადილს; რომ დაგვეხმაროს, შემოვბრუნდეთ და გამოვასწოროთ ჩვენი დაცემული ბუნების ნაკლოვანებანი; სულიერად გავიმართოთ და ჩვენი ცხოვრება მარადიულად მოზეიმე ზეცისკენ მიმავალი გზის დასაწყისად ვაქციოთ.

რა თქმა უნდა, ჩვენს სულსა და სხეულში ფესვგადგმული ცოდვისაგან თავის დახსნა ჭირს, რადგან ეშმაკი ათასნაირ მახეს უგებს მორწმუნეთ, რომ ღვთის გზა დაავიწყოს.

ამიტომაც ყველა ქრისტესმოყვარეს აუცილებლად ეკლიანი და ვიწრო ბილიკის გავლა მოუწევს და ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

დრო ისედაც დამძიმდა, მაგრამ არ შედრკეთ! მთავარია, ნებისმიერი ვითარებიდან სწორი დასკვნა გამოვიტანოთ, ღმერთს არ განვეშოროთ და მუდამ გვახსოვდეს მისი სიტყვები: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შენი მარჯვენის განმამტკიცებელი, მთქმელი შენდა მომართ: ნუ გეშინია, მე შეგეწევი“ (ეს.41.13); გვახსოვდეს და გჯეროდეს ისიც, რომ ბოლოს მაინც „უფლის მორწმუნეთ ყოველივე კეთილად წარემართებათ”.

სამწუხაროდ, ადრეც და, მითუმეტეს, ჩვენს დროშიც მრავლად არიან ადამიანები, რომელთაც ათეისტური აზროვნება აქვთ და მიაჩნიათ, რომ ღმერთი არ არსებობს, არ არსებობს არც ქრისტეს აღდგომა და არც საუკუნო ცხოვრება. მათი აზრით, ჩვენს გონებას დღეს თუ არა ხვალ შეუძლია ყველა კითხვას გასცეს პასუხი და ჩაანაცვლოს ღვთის ყოვლისშემძლეობაც.

რა თქმა უნდა, იყვნენ და არიან ათეისტი მეცნიერებიც, რომლებიც ვერ ხედავენ სამყაროში შემოქმედის

დასასრული მე-11 გვერდზე

გოჩა ქავთარაძე სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შეხვდა

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძემ დუშეთის, თიანეთის, ახალგორისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელებთან და საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

მხარეებს შორის საუბრის მთავარი თემა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებებში არსებულ ვითარებას ეხებოდა. მათ შორის განიხილეს საბავშვო ბაგა-ბაღების მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები და გამოწვევები.

ამასთან, გოჩა ქავთარაძემ შეხვედრის მონაწილეებს სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და ამ კუთხით, მათთან აქტიური და კოორდინირებული თანამშრომლობისათვის მზადყოფნა კიდევ ერთხელ გამოთქვა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მისი დასრულების შემდეგ კი, მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, სამხარეო ადმინისტრაციის სახელით, შეკრებილ საზოგადოებას ბავშვებზე ზრუნვისათვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

სამუშაო შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ყაზბეგისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების მერების მოადგილეები, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ და კულტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

14 აპრილი დედაენის დღეა

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაარჩდებინ...“

მაია მიდელაშვილი – ახალდაბის საჯარო სკოლის პედაგოგი

ქართველისათვის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი წიგნი ბევრი გვაქვს ჩვენდა საამაყოდ, მაგრამ მე მაინც გამოვყოფ იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“...

დედაენის დღე შედარებით ახალი დღესასწაულია და ის სწორედ დედაენის – მშობლიური ენის სიყვარულმა, დაცვამ, გაფრთხილებამ და მე ვიტყოდი, რუსიფიკაციის პირობებში შენარჩუნებამაც კი განაპირობა... ეს დღე უფროსი თაობის ყველა ქართველს ახსოვს. საბჭოთა კავშირის დროს ასეთი გრანდიოზული მიტინგი წარმოუდგენელიც კი ყოფილა...

14 აპრილს ახალდაბის საჯარო სკოლაში საზეიმოდ აღვნიშნეთ დედაენის დღე, რომელიც მოვამზადეთ მე და ამავე სკოლის პედაგოგმა თამარ ნიაურმა. მოსწავლეები ანანო ბერიანიძე, ანა მარია ბალაშვილი, მარიამ ყველაშვილი, თამარ თინიკაშვილი, ანი პატაშური, ბარბარე ბერიანიძე, მაგდა ილურიძე, მარიამ გოჭაშვილი, ნიკოლოზ ბალაშვილი, ნიკოლოზ ჩიტიშვილი გულმოდგინედ

ჩაებნენ ღონისძიებაში და დადენისა და იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს. დედაენის კუთხეც ხალისით მოვაწყეთ.

– ყველა ადამიანს ახსოვს თავისი პირველი მასწავლებელი, რომელიც ბავშვობის ულამაზეს ხანასთან და დედაენასთან შეხვედრასთან ასოცირდება.

– პირველ კლასში იკოთის საშულო სკოლაში შევედი. მუხრანბატონების სასახლეში ფუნქციონირებდა

14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. ეს დღე 1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან დაწესდა.

1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა; სსრკ-ის სახელმწიფო ენად რჩებოდა მხოლოდ რუსული ენა.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული.

ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას წინ აღუდგა მთელი საქართველოს მოსახლეობა. თბილისში მოეწყო მასობრივი გამოსვლები და მსვლელობა თსუ-დან უმაღლესი საბჭოს შენობისაკენ. ვითარება ხელისუფლებისათვის უმართავი ხდებოდა, საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე ხალხთან გამოვიდა უმაღლესი საბჭოს შენობის წინ ვითარების განსამუხტად და მათ დასაშოშმინებლად.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ მხოლოდ ორი გამოსავალი იყო – სისხლისღვრა ან დათმობა და მოსკოვი იძულებული შეიქმნა დაეთმო. ამ მოვლენების გამო 14 აპრილი არაოფიციალურად დედაენის დღედ გამოცხადდა.

მაშინ სკოლა. დღესაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვიხსენებ ჩემს პირველ მასწავლებელს, ქალბატონ თინა ბერიშვილს, რომელიც სამწუხაროდ რამდენიმე წელია გარდაიცვალა. ქალბატონი თინა ძალიან კოპწია, ბავშვების მოსიყვარულე და სამართლიანი მასწავლებელი ბრძანდებოდა.

დღესაც თვალწინ მიდგას მისი საუბარი, გაკვეთილის მიმდინარეობა. ჩვენს ბავშვურ სიცელქეს ღიმილით, გულის სითბოთი ხვდებიდა, არც ხმას აუწევდა, არც დასჯა იცოდა... ძალიან ბედნიერები ვიყავით მის გვერდით...

– თქვენი მასწავლებლობის სურვილი მისი გავლენა ხომ არ იყო...

– ბავშვების უმეტესობას მასწავლებლობა ძლიან მოსწონს. შემდეგ სხვა პროფესიებს ირჩევენ, მაგრამ მეხუთე კლასიდან სკოლის დამთავრებამდე ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა თამარ გიგაური.

„აი ია“ უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ასო-ბგერები

21 წელია, ყოველ დილით სკოლისკენ, საყვარელი ბავშვებისკენ მიუხარია ქალბატონ გიული გაროზაშვილს... ჯერ ბაალანის საშუალო სკოლაში მუშაობდა, 2008 წლის ომის შემდეგ ახალდაბის საჯარო სკოლაში მუშობს დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სიყვარულით და მონდომებით ასწავლის პატარებს დედაენას, აზიარებს ცოდნის საფუძველს.

– ჩემთვის მასწავლებლობა მხოლოდ პროფესია არ არის... – გვითხრა ქალბატონმა გიულიმ, – როგორც

ის ჩვენი კლასის დამრიგებელიც ბრძანდებოდა... ძალიან ლამაზი, არაჩვეულებრივი გარეგნობის თამრიკო მასწავლებელი ყველა ბავშვს გვხიბლავდა და არა მარტო გარეგნობით – შინაგანი სამყარო, საგნის ცოდნა, გადმოცემა, მოთხოვნა, მეგობრული დამოკიდებულება, თითოეული ბავშვის სულის, ხასიათის, ოჯახური მდგომარეობის ცოდნა... საოცარი მიდგომა ცელქთანაც, დინჯთანაც, ზარმაცთანაც და ფრიადოსანთანაც... ყველანი ერთნაირად ვუყვარდით... გულწრფელი დამოკიდებულება ჰქონდა ყველასთან... მე დღეს რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარ, ეს ამ წლების სიხარულიდან მოდის. ოჯახში სამი ბავშვი ვიზრდებოდით, მე უფროსი ვარ... დავსვამდი ჩემს დებს... მე თამრიკო მასწავლებელი „ვიყავი“ და გაკვეთილებს ვუტარებდი. ისინიც რომ მეტყოდნენ, „თამრიკო მას“, როგორ მიხაროდა...

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემისო“, ნათქვამია. მეც მასწავლებლობა მაჩნია სულს და მთელს ცხოვრებას ამ საქმეს მივუძღვნი.

კი სკოლა დავამთავრე, დიდი სურვილით და ოცნების ასახდენად გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავირიცხე.

მუშაობა ბალაანის სკოლაში დავიწყე... ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. სამასწავლებლოში შესვლაც კი მერიდებოდა, ყველა ჩემი ყოფილი მასწავლებელი ახლა კოლეგა იყო...

მე პირველ კლასში სოფელ ქენქაანში შევდი. ჩემი პირველი მასწავლებელი ნასყიდა ქენქაძე იყო... მის გაკვეთილებსა და ბავშვებთან დამოკიდებულებას დღესაც ხალისიანად ვიხსენებთ მისი ნამოწაფრები.

ბალაანის სკოლაში რომ ვმუშაობდი, იმ ხანად დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო ლილი ბალხამიშვილი, – ძალიან მეხმარებოდა, რჩევებს მაძლევდა. უფროსი კოლეგის თანადგომა ბევრს ნიშნავს დამწყები მასწავლებლისათვის. ამ სასწავლო წელს 13 ბავშვი მოვიდა ახალდაბის საჯარო სკოლაში. უმეტესობა ახალგორის რაიონიდან არიან. პირველი კლასის მასწავლებელს განსაკუთრებული სიყვარული უნდა ჰქონდეს პროფესიის, რადგანაც ჩვენ ვუღებთ პატარებს ცოდნის კარს. ვაზიარებთ მათ მშობლიურ ენასთან... „აი ია“-ს თითქოს სხვა დატვირთვაც აქვს, გარდა ასო-ბგერების შესწავლისა...

ომის შემდეგ სხვადასხვა თემაზე გვიწევს მათთან საუბარი, ვცდილობთ, მათ კი არ დაავიწყდეთ თავიანთი ფესვები, მშობლიური სოფელი, არამედ ყოველთვის ახსოვდეთ, „ვისი გორისანი“ არიან...

საქართველოს მთავრობამ ევროკომისიისთვის განკუთვნილი ანგარიში განიხილა

ანგარიში მოიცავს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ევროკავშირთან ინტეგრაციის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს

18 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 66-ე სხდომა გაიმართა.

სხდომის მონაწილეებმა საქართველოს მიერ, ევროკომისიისთვის განკუთვნილი ანგარიში განიხილეს, რომელიც ევროკავშირის გაფართოების პაკეტის ფარგლებში, კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისად პირველად მომზადდა და ამ პროცესს კოორდინაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო უწევდა.

აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე, ევროკომისია საქართველოს ე.წ. კოპენჰაგენის თემატური კრიტერიუმების მიხედვით შეაფასებს, რაც მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და სექტორულ ნაწილებს.

სხდომაზე აღინიშნა, რომ 2022 წლის ივნისში, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოსთვის მინიჭებული ევროპული პერსპექტივის საფუძველზე საქართველომ ასოცირებული ქვეყნის სტატუსიდან გაფართოების ქვეყნების რიგებში გადაინაცვლა. შესაბამისად, ევროკომისია საქართველოს შესახებ ყოველწლიურად მოამზადებს შეფასების ანგარიშს, გაწევრიანების პროცესში მყოფ სხვა ქვეყნებთან ერთად.

კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისი სტრუქტურის მიხედვით მომზადებული ანგარიში 35 თავს შეადგენს და მოიცავს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ევროკავშირთან ინტეგრაციის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს. ანგარიშის შემუშავება თებერვლის ბოლოს ევროკომისიის მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო და პროცესში ჩართული იყო ყველა სახელმწიფო უწყება, საკანონმდებლო ორგანო და სასამართლო ხელისუფლება. ანგარიშში ასახულია 2022 წლის მაისიდან დღემდე, ევროკავშირთან დაახლოების კუთხით განხორციელებული საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სხვა სახის აქტივობები, მათ შორის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სხვადასხვა დარგობრივი სფეროების მიხედვით განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

ევროკომისიის შეფასების ანგარიში გამოქვეყნდება 2023 წლის შემოდგომაზე, რის საფუძველზეც, 2023 წლის ბოლოს ევროპული საბჭო განიხილავს საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების საკითხს.

კომისიის სხდომაზე, ასევე, მოიწონეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით წლის განმავლობაში დაგეგმილ მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

ბავშვებში დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა იზრდება

მე-3 გვერდიდან

- შაქრიანი დიაბეტის მქონე ბავშვებისთვის ფინანსდება მედიკამენტები;
- უზრუნველყოფილნი არიან სისხლში გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემებით და სენსორებით (ჩჩM);
- ფინანსდება სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები;
- საანალიზო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- ენდოკრინოლოგის კონსულტაცია/მეთვალყურეობა;
- გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრა კაპილარული სისხლით;
- დიაბეტით გამოწვეული თვალის დაავადებების მონიტორინგი;
- პროგრამის მოსარგებლეების და მათი მშობლების სამედიცინო განათლება;
- ფიზიკური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, პაციენტის სურვილის შემთხვევაში;

- საჭიროების შემთხვევაში, პაციენტებისთვის, რომელთაც არ ესაჭიროებათ მედიკამენტის დოზის კორექცია, სამედიცინო ცნობის და რეცეპტის გაცემა და სხვა.

„ეპოქის ჭუჭყში გაუსვრელი კაცი“...

თენგიზ არჩვაძე შენი „ქსნის ხეობის ისტორიით” დაინტერესდა და როცა მოახერხებ, ვესტუმროთო - გამახარა თემურ ჩალაბაშვილმა...

დიდხანს არ დამიყოვნებია, თბილისში ჩასვლითანავე დავურეკე თემურს და დიდი ხელოვანის ბინისკენ გავემართეთ.

მოვიკითხეთ, მოვეფერეთ... მერე ახალგორის წარსულსა და ქართულ ხელოვნებაზე ვისაუბრეთ.

სადაც ვითამაშე, იმ ფილმებს არ ვუყურებ, დათა თუთაშხიაც ახლახანს ვნახე, რაც სახლში გამოვიკეტეო - ბრძანა...

„ჩვენი მუშნი ზარანდია” - ხშირად იმეორებს თემური...

მე კი მურმან ლებანიძის ფრაზა ამეკვიატება - „ეპოქის ჭუჭყში გაუსვრელი კაცი”...

საქართველოს ისტორია რომ ძალიან უყვარს, ეს მის მაგიდაზე გაშლილი ჟურნალ-გაზეთებიდანაც ჩანს. ნახე, აქ ამილახვრებზეა წერილი - მიმართავს თემურ ჩალაბაშვილს.

გადაშლის თემური ერთ გვერდს, მეორეს... აქ სულ ახვრებზეა საუბარი, ამილახვრები ვერ ვნახეო - ხუმრობს ჩვეული ენამახვილობით...

.....

სულის სიმაღლე გამოხედვაშიც ემჩნევა თენგიზ არჩვაძეს, წაღიღინებაშიც და ლექსის წაკითხვაშიც...

მიხაროდა, სიმღერის ხასიათზე რომ მოდიოდაო - მითხრა მოგვიანებით ჩემმა მეუღლემ.

ისე როგორ წამოვიდოდით, ბატონი თენგიზი არ გვედღეგრძელებინა.

ვაყოვნებდით სადღეგრძელოდან საღეგრძელომდე. გვინდოდა უფრო მისთვის მოგვესმინა.

„სუფრასთან ცარიელი ჭიქის დიდხანს გაჩერება არ შეიძლებაო” - „გვისაყვედურა”.

წამოსვლისას ძვირფასი საჩუქრით გაგვითბო გული - ეს ერთი წიგნი დამრჩა და მინდა გისახსოვროთო:

„ჯიუტი ვიყავი, ახლაც ჯიუტი ვარ. შინაგან მრწამსს არ ვღალატობდი და არც არაფერს ვთმობდი. ახლაც „რა გინდ რომ ავი მომკერძონ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა”... თუ თავისუფალი არა ვარ, რასაც ვაკეთებ, იმ საქმეში, დაუმორჩილებელი ვხდები...” - ეს სიტყვები ბატონი თენგიზის ნაჩუქარი წიგნის გარეკანზეა ეპილოგად წამძღვარებული, წიგნისა, რომელიც მის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება.

პირობას ვდებთ, რომ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს... ღმერთმა ინებოს...

დავით ახლოური,
თბილისი, 2023 წლის 10 მარტი

დათო ახლოურის პოეზია

ფშაური ღამე

წამო, წავიდეთ,
გავერიდოთ
მოწყენილ ქალაქს...
ფშაველი ვარ და
შენც ფშაველი
იყავი, ქალავ...

წავიდეთ, ვნახოთ
ნისლების ჯგრო
მთებზე გაშლილი,
გზას დაგვილოცავს
ჩემი
ლუკა რაზიკაშვილი...

წავიდეთ, ქალავ,
ხოშარაში
დავცეთ კარავი
მე და შენ ვიყოთ,
მე და შენ და
მეტი არავინ...

მზისა და მთვარის
სწორფრობაზე
ვიუბნოთ რამე,
მთების ჩურჩულში
გავათიოთ
ფშაური ღამე...

რა უჭირს -
დილით გაგვაღვიძოს
ირმის ყვირილმა...
იცი? - იქ ბევრი იაა და
ბევრი გვირილა,

სულ შენ გაჩუქებ,
რაც ყვავილი იქნება მთებში,
დავკრიფოთ მერე და
გვირილებს ჩაგიწნავ თმებში...

წამო, წავიდეთ,
გავერიდოთ
მოწყენილ ქალაქს,
ფშაველი ვარ და
შენც ფშაველი იყავი, ქალავ.

***

დილიდანვე
გულის ფეთქვა მესმის,
გათენდა და
გამახსენდი დილიდან...
ხომ გინდოდა
დამეწერა ლექსი -
სანამ შენზე
ფიქრი გადამივლიდა...

სად გადივლის,
თუკი ერთხელ მოვა,
უგულობა
სიყვარულსაც უჭირს.
ზამთარში რომ
არ გაგყინოს თოვამ,
თიბათვის მზეს
გისახსოვრებ მუჭით!..

***

წამომეწია ქუჩაში წვიმა,
მგონია, მთებმა
გამომიგზავნეს...
ვინც ვერ გაიგებს,
იკითხოს იმან
მე კი თავსხმაში
ბევრჯერ ვიმგზავრე...

მიყვარდა ცა და
ფიქრთან თამაში,
როცა მღეროდნენ
სულში გედები,
აზელილია დღესაც ტალახში
მოგონებები და იმედები...

სადღაც, შორს მესმის
შენი კისკისიც,
გულს რომ მიჩქარებს
ნიაღვარივით
და ველოდები, სოფლის
წისქვილში
როდის იელვებს ღიად არილი,

მაგრამ მანამდე
ქუჩაში ვივლი,
გავათევ ღამეს წვიმის
ყურებით,
ამოვა მზე და დახვდება
ივლისს
ჩემი შეშლილი ნაფეხურები...

ჯვარცმის, როგორც სასჯელის გააზრებისათვის

ვნების კვირის პარასკევს მართლმადიდებელი ეკლესია უფლის მაცხოვნებელ და გამომხსნელ ჯვარცმას იხსენებს, დღეს, რომლის შემდეგაც ჯვარი, სპარსულ-რომაული სამართლის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და დამამცირებელი დასჯის იარაღი, იქცა ქრისტეს მილიონობით მორწმუნის სახედ, სიმბოლოდ და დიდებად. ურიგო არ იქნება, თუ გავიაზრებთ ჯვარზე გაკვრის, როგორც სასჯელის სიმძიმეს და ჯვარზე გაკრული ადამიანის განცდებს.



ჯვრის ფორმები და გაკვრის წესი

ჯვარზე, უფრო ზუსტად კი, სხვადასხვა ფორმის ხის ძელზე (ან ზოგჯერ — თავად ხეზე) გაკვრა ძველ ირანსა და რომში გავრცელებული სასჯელი იყო, რომლებიც გამოიყენებოდა მონების, სახელმწიფოს მოღალატეების, აჯანყებულების ან სხვა მძიმე დამნაშავეების მიმართ. არსებობდა დასასჯელი ხის სხვადასხვა ფორმა, თუმცა ყველაზე გავრცელებული იყო ლათინურ ასო T-ს ფორმის ჯვარი.

ჯვარცმულის სიკვდილის მიზეზი არ იყო დაკავშირებული ჭრილობებთან, ამიტომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჯვარზე თოკით მიბმა ან მილურსმვა. თოკით მიბმის შემთხვევაში, როგორც წესი, ხდებოდა ხელების ხის ძელზე მკლავის ბოლოების, მაჯებთან მიბმა, ხოლო ფეხის შემთხვევაში — ან მუხლში მოხრა და ტერფების მიბმა, ანდა ფეხების ვერტიკალური ძელის არა წინა მხარეს, არამედ გვერდებზე მიბმა (ოდნავ ფეხგაშლილად).

რაც შეეხება მილურსმვას, ეს დამატებითი ტანჯვის (თუმცა, რიგ შემთხვევებში — განგებ სიკვდილის დაჩქარების) მიზნით გამოიყენებოდა. ჯვარცმულს ლურსმანს (სამსჭვალს) აჭედებდნენ არა მაჯებში (როგორც ეს ფრესკებზე და ნახატებში გამოისახება), არამედ მკლავის ორი ძვლის მაჯასთან შეერთების ადგილზე, რათა სამსჭვალებს ადამიანის სხეული დაემაგრებინა. ფეხის მილურსმვაც თოკის მიბმის მსგავსად ან ვერტიკალურ ძელზე პირდაპირ ხდებოდა, ანდა ძელის გვერდებზე ქუსლებით (ნაპოვნია არაერთი არქეოლოგიური ფაქტი ამის დასტურად, იხ. ნახატი, სადაც გავრცელებული მეთოდი უფრო ზუსტად არის გადმოცემული). დამატებითი დაცვისთვის შეიძლებოდა ლურსმნებით ჯვარცმულის სხეულის უკეთ დამაგრებისთვის თოკები მაინც ყოფილიყო გამოყენებული.

ჯვარცმა, როგორც ადამიანის დამცირება

ჯვარცმა მოიაზრებდა ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ წამებას, არამედ უდიდეს მორალურ დამცირებასაც. მეტიც, რიგ შემთხვევებში მკვლევარები თუ ჯვარცმის თანამედროვეები მიიჩნევენ, რომ ამ სასჯელის მთავარი მიზანი ადამიანის სიკვდილი კი არა, მისი მაქსიმალური შეურაცხყოფა და დათრგუნვა იყო. როგორ გამოიხატებოდა ყოველივე ეს? რომაელებს ჩვეულებად ჰქონდათ ლითონის ბოლოებიანი შოლტით ჯვარცმის წინ ადამიანის გამათრახება, რათა იგი ფიზიკურად დაუძლურებულიყო და დასისხლიანებული უფრო შესაბრალისად წარმოეჩინათ. ძირითად შემთხვევაში ჯვრის ვერტიკალური ბოძი სასჯელის ადგილზე უცვლელად იყო ხოლმე, ხოლო ჰორიზონტალური ძელი სიკვდილმისჯილს მიჰქონდა ხოლმე ჯვარცმის ადგილამდე (და არა მთლიანად ჯვარი, როგორც ამას ნახატებსა თუ ფილმებში ვხვდებით), რათა ისედაც გაშოლტვით ფიზიკურად დასუსტებული განსაკუთრებულად ღონემიხდილი დაეკიდათ ჯვარზე.

ისტორიული წყაროებით ასევე ირკვევა, რომ ჯვარცმულს, როგორც წესი, ტანსაცმელს ხდიდნენ, ხშირ შემთხვევაში — მთლიანად აშიშვლებდნენ (ცხადია, ეთიკური მიზეზით ამას ნახატებზე არ ვხვდებით, მცირე გამონაკლისების გარდა — მაგალითად, წმ. რაჟდენ პირველმოწამის XIX საუკუნის ხატი) და ასე აკრავდნენ საზოგადოების წინაშე, რათა ფიზიკური სიკვდილის მოახლოებასთან ერთად დასჯილი მორალურად დაეთრგუნათ.

ჯვარცმულის მორალური ტანჯვა იმითაც ვლინდებოდა, რომ იგი, ჩვეულებრივ, აგონიაში ხშირად ვარდებოდა, კარგავდა გონებას, ეწყებოდა უნებლიე ბიოლოგიური პროცესები (როგორც გამონაყოფის, ისე ხმის გამოცემის), რაც ხალხის მასის წინაშე ხდებოდა და, ბუნებრივია, საშინელ სულიერ ტკივილს აყენებდა ჯვარცმულ ადამიანს.

ჯვარზე სიკვდილის მიზეზი

ჯვარცმული ადამიანის სიკვდილის მიზეზი განსაკუთრებულად შემზარავი და იმავდროულად — უცნაურია. ჯვარზე გაკრული, როგორც წესი, კვდებოდა არა სისხლდენით, არა გადახურებით (თუმცა, ცხადია, ეს მოვლენები აჩქარებდა სიკვდილს), არამედ — ასფიქსიით, ანუ უჰაერობის გამო მოგუდვით. მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჯვარცმულს, სხეულის არაბუნებრივი მდგომარეობის გამო, ჩასასუნთქად სჭირდებოდა ფეხებზე მაქსიმალურად დაყრდნობა და მკერდის წინ წამოწევა. თითოეული ჩასუნთქვა დაკავშირებული იყო უდიდეს ძალისხმევასთან და საშინელ ტკივილთან, მით უფრო, თუ ჯვარცმული მილურსმული იყო (თითოეული წამოწევა ნიშნავდა შეხორცებული ჭრილობის გახევას და ახლიდან სისხლდენას). გარკვეული დროის შემდეგ, კუნთების დამბლის, ატროფიის, სისხლდენის თუ საერთო სისუსტის გამო, ჯვარზე გაკრული ადამიანი კარგავდა ჩასუნთქვისათვის საჭირო ძალას და უჰაერობის გამო იგუდებოდა.

თუ ადამიანი ფიზიკურად ძლიერი იყო, შესაძლებელია ჯვარზე დღეები გაეძლო. ზოგ სახელმწიფოში არსებობდა წესი, თუ კანონით დადგენილი რაღაც დროის შემდეგ ჯვარცმული კვლავ ცოცხალი იქნებოდა, მას ათავისუფლებდნენ. მაგალითისთვის, შეგვიძლია გავიხ-

სენოთ წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის დასჯა, რომელმაც 2 დღე ცოცხალი გაძლო ჯვარზე. თუ საჭირო იყო ჯვარცმულის სიკვდილის დაჩქარება, ეს ძირითადად სამი სახით ხდებოდა: ან პირდაპირ, რამე სხვა იარაღის მეშვეობით მისი მოკვლით, ან კიდევ უფრო სასტიკი ორი მეთოდით — წვივების გადამტვრევით (რასაც სახარებაში ვხვდებით მაცხოვართან ერთად ჯვარცმული ავაზაკების შემთხვევაში). ამ დროს ადამიანი საერთოდ ვეღარ შეძლებდა ფეხებზე დაყრდნობას ჩასასუნთქად და რამდენიმე წუთში გაიგუდებოდა უჰაერობით და ასევე ჯვრის წინ მხრჩოლავი საგნის დაწვით და ჯვარცმულის უჟანგბადობის დაჩქარებით.

რამდენიმე დეტალი უფლის ჯვარცმის შესახებ

როგორც სახარებისეული აღწერა და შემდგომი პერიოდის ქრისტიანული ტრადიცია, ისე ისტორიული კვლევა ადასტურებს, რომ ქრისტე უფალი გაკრულ იქნა თ ფორმის ჯვარზე.

ჯვარცმულს თავზე აკრავდნენ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის დასახელებას, ასეთი ფორმით: „მკვლელი“, „ყაჩაღი“, „მოღალატე“. უფლის შემთხვევაში, პილატემ დააწერინა, ცხადია, ის მიზეზი, რის გამოც მას გადასცეს იესო დასასჯელად — თავის გამოცხადება იუდეველთა მეფედ. თუმცა წარწერით — „იუდეველთა მეფე“ რაკი დანაშაულს არ შეიცავდა, გამოვიდა მისი მეფედ აღიარება. როგორც იოანეს სახარებიდან ვიცით, ეს არ მოეწონათ ფარისევლებს და პილატეს სთხოვეს, დააწერე ისე, როგორც თქვაო — „მე ვარ იუდეველთა მეფე“, თუმცა პილატე გაბრაზდა და წარწერა აღარ შეცვალა (ინ. 19:19-22).

ტრადიციულად, იესო ჯვარზე გამოისახება მილურსმულად, ხოლო ავაზაკები — თოკით მიბმულად. ის, რომ ქრისტე სამსჭვალთა გამოიყენებით იქნა გაკრული ჯვარზე, მისი სიტყვებიც ადასტურებს, როცა თომა მოციქულს მიმართავს (ინ. 20:27), თუმცა ავაზაკების ჯვარცმის მეთოდზე ბევრი არაფერი ვიცით. ერთი ვერსიით, ქრისტეს მიმართ სამსჭვალის გამოყენება პილატე პონტოელის მხრიდან ერთგვარი „მოწყალების გაღება“ იყო, რომ დროულად მომკვდარიყო და დიდხანს არ ეწვალა, თუმცა იესო ისე მალე მოკვდა, რომ პილატეს თავად გაუკვირდა (მკ. 15:44). ავაზაკებმა კი, შესაძლოა იმის გამო, რომ მძიმედ არ გაუშოლტიათ, ანდა მართლაც მიბმული იყვნენ თოკით, უფრო გაუძლეს ტანჯვას და პასექის მოახლოების გამო მათი სიკვდილის დასაჩქარებლად ჯარისკაცებს დასჭირდათ წვივების დამტვრევა.

ჯვარცმა, როგორც სასჯელი, თითქმის 5 საუკუნე გამოიყენებოდა რომის იმპერიაში და მაცხოვრის ვნებათა პატივსაცემად გაუქმდა პირველი ქრისტიანი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის ბრძანებით.

დიდება ვნებათა და სულგრძელებათა შენთა, უფალო!

საეკლესიო სამართლის დოქტორი დავით ჩიკვაიძე

FB „საპატრიარქოს უწყებანი“

ამონარიდები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის

საღდგომო ეპისტოლედან

მე-5 გვერდიდან

ნაკვალევს. ასეთ სულისკვეთებას ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების არნახული წარმატებები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენს დროში; მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მრავალ უდიდეს მკვლევარს სწორედ მეცნიერულმა აღმოჩენებმა დაანახა კავშირი ქმნილებასა და ღმერთს შორის, დაანახა რომ სამყარო არ შეიძლება იყოს შემთხვევითობის შედეგი.

მათი საერთო განწყობის გამომხატველია დიდი გერმანელი ფიზიკოსის, კვანტური ფიზიკის ფუძემდებლის, ვერნერ ჰაიზენბერგის სიტყვები: „მეცნიერების სასმისის პირველმა ყლუპმა შესაძლოა ათეიზმს გაზიაროს, მაგრამ სასმისის ბოლოს აუცილებლად ღმერთი გელოდება“.

ბუნება სიბრძნის მშვენიერების, გონიერების ღვთაებრივი წიგნია, რომლის მართვა უფლისმიერი გონით ხდება და ეს ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა.

...მთავარია, სმენის უნარი გვქონდეს და ვაღიაროთ, რომ ვერანაირი მატერია ვერ გახდება ცოცხალი თავისით, მითუმეტეს, სიცოცხლის გადამცემი შთამომავლობაში, და რომ მხოლოდ სიცოცხლე შობს სიცოცხლეს, რომლის საწყისიც არის მასში, ვინც არის სათავე მარადიული სიცოცხლისა და თავად სიცოცხლე.

*****

ქრისტიანული ცხოვრება, პირველ რიგში, გულისხმობს, მართებული წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ გამოვიყენოთ ღვთისგან ბოძებული უდიდესი საჩუქარი, - თავისუფალი ნება, ანუ ჩვენი თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ნებისმიერ სიტუაციაში.

თავისუფლება ადამიანმა შეიძლება დაკარგოს ძალმომრეობით და მის დასაბრუნებლად, ბუნებრივია, უნდა იზრუნოს; მაგრამ შესაძლოა ადამიანმა თავისუფლება დაკარგოს ცრუ თავისუფლების სახელით და სულიერ მონობაში აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოების ნაწილი სწორედ ამ მდგომარეობაშია და თავისუფლებას მიიჩნევს ყველაფრის უფლებად, რაც მორწმუნე ადამიანისათვის კატეგორიულად მიუღებელია.

ყველაფრის უფლების დამკვიდრება ხდება ზნეობრიობის უგულებელყოფით და ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის დაკარგვით; მისი შინა-არსის სრული სახეცვლილებითა და გაუკუღმართებით; ამიტომაცაა, რომ თავისუფლების, სიყვარულის, ადამიანის ღირსების... შესახებ ყველა საუბრობს, მაგრამ დღეს უკვე რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით.

ჩვენთვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი თავის შეცნობას, სრულყოფისაკენ სწრაფვას, ჩვენი სულის სიღრმეში ღვთის ხატად შექმნილი ჩვენი დაფარული „მე“-ს პოვნას.

თავისუფლება სწორედ ამ რეალურ „მე“- მდე მიღწევა და მისი აღმოჩენაა, ცოდვითი ცხოვრებისგან განშორება და არასწორი წარმოდგენებისგან თავის დახსნაა.

მოციქული გვეუბნება: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია“ (1 კორ. 6:12).

ფეხბურთელი გოგონები წარმატებით მიიწევენ წინ

ახალგორის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლასთან არსებულმა გოგონათა გუნდმა "ახალგორი" - ლიგა 2-ში სტარტი აიღო და ზუგდიდის "ფენიქსს" უმასპინძლა.

შეჯიბრი "ახალგორის" გამარჯვებით დასრულდა. პირველი ტურის საუკეთესო მოთამაშედ კი ანა დოლიშვილი დასახელდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გელა შერმადინი და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი. მათ გოგონათა გუნდს გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

ამ ეტაპზე გოგონათა გუნდი შემდეგი მატჩებისთვის ემზადება.

წეროვანში დასასვენებელი სივრცე მოეწყო

წეროვანში სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა დასრულდა, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა, დიმიტრი ზურაბიშვილმა და მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, გიორგი ჩიფჩიურმა, მცხეთის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად მოინახულეს.

პროექტი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 215 087 ლარი შეადგინა.

სკვერში დაიგო დეკორატიული ფილები, მოეწყო საბავშვო გასართობი ატრაქციონები, დამონტაჟდა ტრენაჟორები და დეკორატიული შადრევანი.

მოსასვენებელ ზონაში მოწყობილია სკამები, ლამპიონები, ფანჩატური. დაიდგა ურნები, დაირგვება ყვავილოვანი მცენარეები. შემოიფარგლა მოაჯირით, ირგვლივ კედლები და ლენტური სარტყელი მოპირკეთდა.

სკვერი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.